**უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო**

26/03/2025

MES 3 25 0000340590

გადაწყვეტილება

„შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 04 ოქტომბრის №1299764 გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, სააპელაციო საბჭოს 2025 წლის 15 იანვრის № 51988 გადაწყვეტილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 101 - ე მუხლის მე - 2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 102 - ე მუხლის მე-2 პუნქტის და მე-3 პუნქტების, შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ძალაში დარჩეს "შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ", უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 04 ოქტომბრის №1299764 გადაწყვეტილება.
2. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 12 მარტს.
3. ცნობილ იქნას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 26 მარტის №337379 ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
იოსელიანი თამარ

ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

ელექტრონული დოკუმენტი
მტკიცებულება